პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სტატისტიკა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

დოკუმენტში ასახულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

2022 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის 4 მოთხოვნა, საიდანაც:

- 1 მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად;
- 2 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად არ იყო დაცული/აღრიცხული სამსახურში;
- 1 შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს.



საჯარო ინფორმაციაზე უარის გასაჩივრება

2022 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე არ მიუღია და შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება არც გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა

2022 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში არ შემოსულა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სამსახური ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა

სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე დისციპლინური წარმოება არ ჩატარებულა არც ერთი თანამშრომლის მიმართ.

ხარჯები

გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი არ წარმოშობილა.

გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლის ვინაობა

2022 წლის 16 მაისიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - დავით ყარაშვილი. შესაბამისად, სწორედ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების/გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც - office@pdps.ge და foi@pdps.ge.

საჯარო მონაცემთა ბაზები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულია ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი (https://catalog.pdp.ge/). ამავე ვებგვერდზე განთავსებულია გადაწყვეტილებების რეესტრი (https://personaldata.ge/ka/decisions), სადაც გადაწყვეტილებები გასაჯაროებულია მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების/ნებართვების განხილვისა და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს განმცხადებელთა და მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.